კორნელი კეკელიძე

# ცხოვრება ღირსისა მიქელ პარეხელისა

## (მონტაჟი გრიგოლ ხანძთელის და სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებათა მონაცემებისა)*

ცნობილია, რომ IX საუკუნეში კლარჯეთსა და სამცხეში ინტენსიური სამონასტრო მშენებლობა მიმდინარეობდა. იმ პირთა შორის, რომლებიც სათავეში უდგნენ ამ მშენებლობას, თავის დროს ყურადღებას იპყრობდა მიქელ პარეხელი, თანამედროვე და მეგობარი გრიგოლ ხანძთელისა. ის მოხსენებულია გრიგოლისა და სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრებაში". უკანასკნელში აღნიშნულია, რომ მიქელის მოწაფეებს აღუწერიათ კიდევაც მისი „ცხოვრება", რომელიც სამწუხაროდ ჩვენამდე არ შენახულა. დაკარგვა კტიტორული აგიოგრაფიის ასეთი ძეგლისა დიდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს ჩვენი ლიტერატურის ისტორიისათვის.

ამ ხარვეზის ოდნავ მაინც ამოვსების მიზნით ჩვენ განვიზრახეთ ამოგვეკრიფა გრიგოლისა და სერაპიონის „ცხოვრებათაგან" მიქელის შესახებ ცნობები, გაგვეკეთებია თავისებური მონტაჟი ამ ცნობებისა და მოგვეცა ნაწარმოები, რომელიც იქნებოდა არა «ცხოვრება» მთელი მისი, უეჭველია, მდიდარი შინაარსით, არამედ ზოგი რამ „ცხოვრებისაგან" მისისა. ვფიქრობთ, სანამ აღმოჩნდებოდეს მიქელ პარეხელის მთლიანი «ცხოვრება», ასეთი რამეც სასარგებლო იქნება.

### მიქელ პარეხელი

ესე ნეტარი მამაჲ ჩუენი მიქელ იყო ქუეყანისა შავშეთისაჲ, სოფლისა ნორგიალისაჲ[1]. ხოლო მოვალს ჩუენდა სიტყუაჲ ესე ნამათა მიერ, რამეთუ იყო იგი მოწაფე დიდისა შიოჲსი საკჳრველ-მოქმედისაჲ, რომელი, ვითარცა მთიები განთიადისაჲ, ბრწყინვიდა ქუეყანასა ქართლისასა[2]. აღეშენა რაჲ წმიდაჲ და დიდი უდაბნოჲ ოპიზაჲ მონაზონთა მიერ, რომელთა ეწოდებოდა ამონა, ანდრია, პეტრე და მაკარი, ამისსა შემდგომად მოვიდა მუნით[3] მიქელ მიძნაძოროს და მონაზონ იქმნა[4]. რაჟამს ხანძთაჲ იქმნა სახელოვან მადლითა და სახარულევან სულიერთა შვილთაგან, მიძნაძოროჲთ ხანძთად მოვიდა იგი, რამეთუ იყო მეგობარ ნეტარისა გრიგოლ ხანძთელისაჲ, და ეძიებდა მარტოდ-მყოფობასა[5]. აღგილსა კლდოანსა და უვალსა კაცთაგან[6], ბერთისა პარეხთა, პოვა თავისა თჳსისა სამკჳდრებელი და განზრახვითა ამის წმიდისაჲთა დაემკჳდრა მათ შინა[7].

---

* რედაქციას მოაწოდა სოლ. ყუბანეიშვილმა.

[1] გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება [ნ. მარის გამოცემა], გვ. 38. [2] ცხოვრება სერაპიონ ზარზმელისა [კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა], გვ. 150. [3] სერაპ. 150. [4] გრიგ. გვ. 38. [5] გრიგ. 38. [6] სერაპ. 150. [7] გრიგ. 38.

უწყებითა საღმრთოჲთა აღაშენა მუნ მცირე ეგუტერი და შესაკრებელი მცირე ძმათაჲ[8] და კეთილად წარემართებოდა სათნოებათა მიმართ უფლისათა[9].

ნეტარი მამაჲ ჩუენი მიქელ იყო აღმაშენებელი, სასწაულთა და ნიშთა მოქმედი მაღალთა და დიდთაჲ[10] რომლისათჳსცა მტერი ეშმაკი იგლოვდა ფრიად, რამეთუ ხედვიდა წმიდათა კაცთა განმრავლებითა ჟამისა თჳსისა შემოკლებასა და მიქელისთჳს დიდსა საუცრებასა ცხადად და ფარულად ჰყოფდა, რაჲთამცა განიოტა უდაბნოჲთ. ხოლო იგი ძლიერად მოითმენდა გუემათა დაუძინებელისა მის მკდომისათა. და არცხუენდა თითოსახეთა მათ მანქანებათა მისთა შეწევნითა ქრისტესითა და წმიდათა ყოველთა ოხითა.

ხოლო იყო ჟამსა რომელსამე მამაჲ მიქელ განშორებულად სენაკსა თჳსსა, მდგომარე მაღალსა კლდესა ზედა მცირედ რაჲმე უდბად. და კადნიერ იქმნა მის ზედა ბელიარ და სიმაღლისა მისგან გარდამოაგდო ქუე. და დაიცვა ყოვლადუვნებელად ყოველთა მეუფემან ქრისტემან ღმერთმან. არამედ მამაჲ მიქელ შეზრუნდა მიმდემი სამარადისოსა მას ბრძოლასა და მოწაფე თჳსი მიავლინა სულიერად მოძღურისა თჳსისა მამისა გრიგოლისსა და აუწყა ყოველი იგი განსაცდელი სულთა ბოროტთაჲ. და წმიდაჲ იგი მსწრაფლ მივიდა შეწევნად ძმისა თჳსისა ძალითა უფლისაჲთა და განამჴნო იგი სულითა და ახლად ჴელითა თჳსითა შექმნნა ძლევისა მომცემელნი ქრისტეს ბეჭედნი, ორნი ჯუარნი ძელისანი, საფარველად მისსა და განსაოტებლად მტერთა, და იმიერ და ამიერ განშორებულად სენაკსა მისსა აღჰმართნა და საზღვრად უჩინნა წმიდასა მას, ვითარმედ ,,ორთა ამათ ჯუართა ქრისტესთა შუა უშიშად იყავ შეწევნითა წმიდისა სამებისაჲთა და ძალითა პატიოსნისა ჯუარისაჲთა. ხოლო უკუეთუ წარჰვლო, კუალად განიცადო უძჳრესად პირველისა".

და ლოცვა ყვეს და წარმოვიდა სანატრელი გრიგოლ. ხოლო ნეტარმან მიქელ ჰპოვა სრულიად განსუენებაჲ, რამეთუ სიმდაბლითა დასცა მტერი ამპარტავანი, ვინაჲთგან არა სიმართლეთა თჳსთა ესვიდა, არამედ ღმრთისა მხოლოჲსა მინდობითა მოიყვანა მოძღუარი თჳსი და სულიერი ძმაჲ გრიგოლ შემწედ, ვითარცა წერილ არს: ,,ძმაჲ ძმისა შემწე ვითარცა ზღუდე დაუცემელი"[11].

ცხოვნდებოდა რაჲ ნეტარი მამაჲ ჩუენი მიქელ ბერთისა პარეხთა, წარემართა მისსა მიმართ ყოვლად ბრძენი სერაპიონ, რომელმან ჟამსა მოწევნულსა ზარზმაჲ აღაშენა; და თანა ჰყვა მას ძმაჲ მცირე ჰასაკითა, სახელით იოანე, და დიდსა მიქაელს, ვითარცა მამასა სულთასა და მზრდელსა ობოლთასა, შეჰვედრა თავი თჳსი. ხოლო ნეტარსა მას სხუანიცა მრავალნი აქუნდეს მოწაფენი, სრულნი და ბრწყინვალენი სათნოებითა, ვითარცა დიდსა ანტონის ილარიონ და მაკარი, ეგრეთვე მიქელს ბასილი და მარკელოზ. და მათ თანა შეჰვედრა ნეტარი სერაპიონ თანა ძმითურთ და თანააღრაცხილ ყვნა დასსა მოწაფეთასა[12].

მო-რაჲ-იწია ჟამი, ღირსი სერაპიონ ბრძანებითა მიქელისაჲთა პატივითა მღდელობისაჲთა სრულ იქმნა და ღირსებით მსახურ საღმრთოჲსა საკურთხეველისა. და ამან ყოვლად—განთქუმლან და დიდთა ნიშთა მოქმედმან მიქაელ აღზარდნა და სრულებად სათნოებისად აღიყვანნა იგინი. და იყვნეს მის მიერ შეყუარებულ, ვითარცა კეთილად მიმღებელნი სწავლათა მისთანი. ამით ესევითარითა საქმითა აღასრულეს ჟამი მრავალი წინაშე მისსა და ყოვლითურთ მობაძავ მისსა იქმნნეს[13].

---

[8] სერაპ. 150. [9] გრიგ. 38. [10] სერაპ. 150. [11] გრიგ. 38. [12] სერაპ. 150—151. [13] სერაპ. 151.

იყო რაჲ დიდი იგი მამაჲ და მოძღუარი მიქაელ მდგომარე ლოცვასა ღამისასა, განკჳრვებაჲ რაჲმე დაეცა და აღიტაცა ზეცად და იხილა ვინმე, ვითარცა მღდელ-შუენიერად შემოსილი, და ეტყოდა მას, რათა მის მიერ განსწავლულნი იგი მოწაფენი მყის წარავლინნეს ქუეყანად სამცხისად, რომელ არიან სერაპიონ და იოანე. და უჩუენებდა ნიშთა რათმე და სახეთა, თუ რომელსა მივიდენ ადგილსა; პოონ, მივიდენ რაჲ, სასწაული იგი და მუნ ჴელყონ აღშენებაჲ მონასტრისაჲ და შეკრიბნეს მას შინა სულნი მრავალნი სადიდებელად ღმრთისა და მეუფისა ყოველთაჲსა. ხოლო მორაეგო გონებასა წმიდაჲ იგი, რომელსა მრავალნი ეხილვნეს ნიშნი საღმრთონი, მოუწოდა წმიდათა მათ და შეჰმუნებულითა პირითა ჰრქუა სერაპიონს: „საყუარელო შვილო და ქრისტეს მიერ ძმაო სერაპიონ! ფრიად მძიმედ აღმიჩნდა ბრძანებაჲ ესე, რამეთუ ფრიადცა უყუარს სულსა თანაზრდილობაჲ და უფროჲსღა რომელნი საღმრთოჲთა სიყუარულითა შეკრულ იყვნენ. აწ ვინაჲთგან საღმრთოჲ არს ბრძანებაჲ ესე, გიკმს, რათა განხჳდე ამიერ და აღაშენო სულთა-სამზრუნველოჲ სადა იგი გიჩუენოს შენ ღმერთმან". ხოლო მას ესმა რაჲ წმიდისა მიერ, დავარდა ფერჴთა თანა მისთა და მყოვარჟამ უკმოდ მდებარე იყო. ხოლო წმიდამან უპყრა ჴელი, აღადგინა და ეტყოდა: „ულპყრობილ იყავ, შვილო, რამეთუ შეუძლებელ არს ბრძანებასა საღმრთოსა მცირედცა წინაგანწყობაჲ, და ესეცა ბრძანებაჲვე არს, რათა რომელი გეტყოდა ჯუარისა ოდენ მარტოდ ტჳრთვასა, იგივე გეტყჳს, რათა ცხოველი ხატი განკაცებისა მისისაჲ იტჳრთო და ეგრეთ განხჳდეთ, რათა, აღარაჲ-აშენოთ წმინდაჲ ეკლესიაჲ, მას შინა აღმართოთ იგი თაყუანის-საცემელად და სენთა და უძლურთა განმდევნელად და სულთა მრავალთა გამოსაჴსნელად". ესევითარი რაჲ მრავალი ესმა წმიდასა მას, სიტყჳსა წილ ცრემლთა სიმრავლე გარდამოადინა და ჰრქუა: „უკუეთუ სათნო არს, მამაო, წინაშე შენსა, ეგედრე ღმერთსა ჩემთჳს, რათა არა განმაშოროს წმიდასა კრებულსა შენსა და მარადის ხილვად წმიდასა პირსა შენსა". ხოლო მან მიუგო და ჰრქუა, რათა არა დააკლდე საღმრთოსა გჳრგჳნსა მორჩილთასა, ამიერ დააცადენ სიტყჳს-გებანი და მზაყავ თავი შენი სლვად გზათა და თანამოგზაურ შენდა ყავ ძმაჲ შენი იოვანე და ოთხნი ძმათა ამათგანნი". ხოლო აუწყნა ნიშნი რაჲმე მის ადგილისანი, რათა ადვილად იცნან ადგილნი იგი, რომლისა აღშენებად ბრძანებაჲ მოეღო. ესევითარნი რაჲ სიტყუანი ესმნეს წმიდისა მისგან, არღარა იკადრა წინაგანწყობაჲ, არამედ შეუვრდა ცრემლით და მოწლედ შეიტკბნეს ურთიერთას წმიდათა მათ და აგრეთვე მსგავსად ყოველნი ძმანი, და ლოცვაჲ წმიდისაჲ საგზალ თჳსსა ყვეს [14].

და წარმოემართნეს რა და მიმოვიდოდეს ჰირით და შრომით ადგილთა მათ ეიწროთა, პოვეს ნიშები და სასწაულები, უწყებული დიდისა მისგან მოძღურისა, და განიხარეს დიდითა სიხარულითა და აღაშენეს მცირე ტალავარი, რომელი იქმნა მათ შემწყნარებელ უცხოებისა მათისა [15]. და აღაგზნეს ცეცხლი და აკდა კუამლი დიდძალი. ვითარცა იხილა ესე უფალმან მის ადგილისამან გიორგი ჩორჩანელმან, რომელი ჟამსა მას იყო მდევარ ნადირთა, განკჳრდა ფრიად და მყის უბრძანა ერთსა ვისმე მონათაგანსა: „წარვედ მსწრაფლ და ზედამიწევნით ცან ძალი საქმისა ამის და მაუწყე ჩუენ". ხოლო წარვიდა მყის ყრმაჲ და ჰირითა და შრომითა მიჰყვა კუამლსა მის ცეცხლისასა. ვითარცა მიიწია მუნ, იხილა

[14] სერაპ. 151—152. [15] სერაპ. 152—153.

ტალავარი იგი და კაცნი შემოსილნი ხალენებითა უცხოჲთა მეუდაბნოეთაჲთა
და ჰკითხვიდა მათ ვინაობასა ანუ რაჲმე არიან საქმენი მათნი? იწყო წმიდამან
სერაპიონ და წარმოუთხრა. ვითარმედ ეგულვების აღშენებაჲ მონასტრისაჲ. და
ესეცა შესძინა. ვითარმედ „ბრძანებაჲ არს საღმრთოჲ და მოწაფენი ვართ ნიშთა
5 და სასწაულთა მიერ განბრწყინვებულის მიქელ პარეხელისანი". და ვითარცა
ესმა ესე ყოველი კაცსა მას, ყოველი მიუთხრა დიდსა მას მთავარსა, რომელმან
ჯუალად უბრძანა ორთა საკუთართა თჳსთა, რათა ზედმიწევნით ცნან ყოველივე.
ხოლო წარმოვიდეს კაცნი იგი, რომელთა წმიდამან მამამან სერაპიონ ჰრქუა:
„არას ვიტყჳთ გარეგან ჭეშმარიტებისა, რამეთუ მოწაფენი ვართ დიდისა მის
10 და განთქუმულისა მიქელ პარეხელისანი და ბრძანებითა საღმრთოჲთა მის მიერ
წარმოვლინებულნი, რათა ადგილსა ამას აღვაშენოთ შესაკრებელი ცხოვართა
პირმეტყუელთაჲ". ხოლო მათ ვითარცა გულისხმა ყვეს, რამეთუ ჭეშმარიტ
არიან სიტყვანი მათნი და სახელი დიდისა მის მოძღურისაჲ ესმა, წარემართნეს
და მიიწინეს რაჲ წინაშე გიორგი ღმრთისმსახურისა, ყოველივე ხილული და
15 სმენილი წარმოუთხრეს. ხოლო მას ესმა რაჲ, ვითარმედ მოწაფენი მიქელისნი
არიან, ირწმუნა ჭეშმარიტებაჲ სიტყუათა მათთაჲ [16].

ქელისაპყრობითა დიდისა მის მთავრისა გიორგი ჩორჩანელისაჲთა აღე-
შენა ეკლესიაჲ ზარზმისაჲ, რომელსაცა მისცნა მან ყოველნი საკმარნი: ჯორები
და კარაულები და სოფლები [17]. ღმერთშემოსილი მამაჲ გიორგი, ეპისკოპოზი
20 ანყურისაჲ, რომელი აღიზარდა განთქუმულსა მას მონასტერსა ოპიზას, უტყუე-
ლ ითა მით პირითა იტყოდა: „ვიყავ რაჲ უდაბნოსა ოპიზისასა, საყოფელსა წმი-
დისა წინამორბედისა ნათლისმცემელისასა, მიერ აღვედ დიდისა მამისა მიქე-
ლისსა; და, ვიყავ რაჲ წინაშე მისსა, მაშინ წარავლინნა მიქელ ორნი მოწაფეთა
მისთაგანნი და მიუწერა ებისტოლე სერაპიონს და ძმასა მისსა იოვანეს მსწრაფლ
25 მისლვად წინაშე მისსა, რამეთუ იცოდა ჟამი განსლვისა თჳსისაჲ, რაჲთა იხილ-
ონენ ურთიერთას და რათა ზედა მიწევნით ცნას, თუ ვითარ იქმნა შენებაჲ ზეცით
უწყებულისა მის ადგილისაჲ. ხოლო იგი, ვითარცა იყო ბრძანებასა მოძღურისა
მორჩილ, მსწრაფლ მოვიდა თჳსით ძმითურთ, რომელსა სხუანიცა მრავალნი
ძმანი ჰყვეს. და ვითარცა იხილეს ურთიერთას დიდმან მიქელ და სერაპიონ,
30 განიშუეს, ვითარცა შეჰგავს მხიარულებით და ცრემლთა თანა აღძრვით ჰმად-
ლობდეს ღმერთსა, და მიიღეს კურთხევაჲ ყოველთა ძმათა ურთიერთას. და ვი-
თარცა გარდაკდეს ორნი დღენი და განისუენეს, მესამესა დღესა დიდმან მიქელ
გამოჰკითხა წარმართებაჲ და ვითარებაჲ ადგილისა მის, ანუ თუ ვინ იყო თანა-
შემწე და მოღუაწე მათდა? ხოლო ნეტარმან სერაპიონ იწყო პირველთაგან და
35 ყოველი წარმოუთხრა. და ვითარ თანაშემწე მათდა იქმნა დიდი იგი მთავარი
გიორგი ჩორჩანელი და ყოველივე მათზედა მოწევნული, და ვითარ ადგილსა
მას ორძის სიმრავლე ძმათაჲ, და სასწაულთა მათთჳს დიდთა განკმობისათჳს
ტბისა და კაცთა მათთჳს ურჩთა დაფარვისა, და ყოველივე, რაჲცა იქმნა, შემ-
ოგომითი შემდგომად. ვინაჲ განიხარა წმიდამან მან და მადლი მისცა ღმერთსა
40 და აკურთხა კურთხეული იგი კაცი გიორგი ჩორჩანელი. და თუ ვითარ შემსგავ-
სებული სახელი ეწოდა ზარზმა ერთა მიერ, სასწაულთა საკჳრველთა ზარგან-
კდილთა. ესე ყოველი რაჲ ესმა წმიდასა მას, იხარებდა სულითა.

---

[16] სერაპ. 154—156. [17] სერაპ. 165—167.

ამისსა შემდგომად მოუწოდა მამამან მიქელ კელარსა და ჰრქუა. რათა მზა ყოს სერი. მერმე წართქუნეს განწესებულნი ფსალმუნნი ჟამსა ცხრა ჟამისასა. და დასხდეს სერობად, და იწყიეს ღჳნოჲ და სულიერი და ჯორციელი სიხარული განზავეს. მაშინ წმიდამან მან მამამან. დიდთა ნიშთა და სასწაულთა მიერ განბრწყინვებულმან მიქელ მიხედა ნეტარსა სერაპიონს და ჰრქუა: „ჰ, საყუარელო შვილო და ძმაო სერაპიონ! მრწამს ჴეშმარიტად ღმრთისა სასწაულთა მათთჳს, შენ მიერ აღსრულებულთა. ანუ თუ ვითარ იყოს წარმართებაჲ ადგილისა მის. გულსავსე ვიქმნე, უკუეთუ ესე იქმნეს". ხოლო განგებითა საღმრთოჲთა იყო კედელსა ეკლესიისასა რტოჲ ბაჲაჲსაჲ მრავალჟამეული. და აღიღო ჯელითა თჳსითა მამამან მიქაელ და მისცა წმიდასა სერაპიონს და ჰრქუა: „შვილო, 10
დანერგე ესე მახლობელად ეკლესიისა და, უკუეთუ განედლდეს. უწყოდე ჴეშმარიტად, რამეთუ ნაყოფიერებაჲ არს ადგილისა მის. წარვედ და გულს-მოდგინედ აშენებდი". ვინაჲცა განკჳრვებამან შეიპყრნა ყოველნი მუნ მსხდომარენი და ჰრქუეს ურთიერთას: „არა დიდ არს ორთავე ამათ მიერ სიდიდე სასწაულისაჲ?". ხოლო ყოვლად-უცხოჲ იგი ზუაობისაგან შეუვრდა წმიდასა მას და 15
ეტყოდა: „წმიდაო ღმრთისაო. წინაშე შენსა არარაჲ შეუძლებელ არს. რამეთუ ჯელმწიფებაჲ მოგიღებიეს მთაცა ცვალებამდე". და გამოუღო ჯელთა მისთა და დაჰნერგა ქუეყანასა, ხოლო შემდგომად მცირედისა განედლდა და რტოგარდაფენით ქადაგებდა დიდებულსა მას სასწაულსა. და ვითარცა იხილეს ყოველთა, განკჳრდეს და ადიდებდეს ღმერთსა. 20

დღესა ერთსა ილოცვიდეს რა ჟამსა სამჟამისასა და აჰა ესერა დაეცა განკჳრვებაჲ წმიდასა მას და მყოვარჟამ დგა განცჳფრებული. ამისა შემდგომად, ვითარცა რულისაგან ღრმისა განღჳძებულმან მიხედა ნეტარსა სერაპიონს და ჰრქუა: „ისწრაფე, ძმაო, და წარვედ ადგილთა ნამუშაკევთა შენთა, რამეთუ შფოთნი რაჲმე შემთხუევად არიან ჟამ რაჲოდენმე. ხოლო თუ უნდეს ღმერთსა, 25
ადრე იქმნას განქარვებაჲ მათი. გარნა მე ვერღა მიხილო ოდესცა სოფელსა ამას. რამეთუ ადრე წარვალ ამიერ. ხოლო შეკრებასა მას ყოველთასა ნებითა ღმრთისაჲთა გიხილო მხიარული და ბრწყინვალე, ვითარცა რაჲ მუშაკი კეთილი, სასყიდლითა განმდიდრებული. ხოლო ძმაჲ შენი იოვანე მივედინ ადგილსა სხუასა. რომელი. ისწაოს რაჲ. შენებასა მისსა მოსწრაფედ თანამზრუნველ ექმნას 30
კაცთა მათ. რომელნი პოვნეს ადგილსა მას. რომელსა მონასტერი აშენოს". და მისცა მას სასწაული ადგილისაჲ და ნიში. რომელსა ეგულვებოდა მისლვაჲ იოვანეს. ხოლო ესევითარი რაჲ ტკბილი ანდერძი წარმოთქუა და ყოველი ყოფადი წინაჲსწარ მოუსწავა და წარგზავნნა ცრემლითა აღსავსენი და უფროჲსღა. რამეთუ არა ესვიდეს კუალად ხილვასა მისსა[18]. 35

ნეტარი მიქელ პარეხთა შინა მრავალთა წელიწადთა ცხოვნდა და აღ-რაჲესრულა. მუნვე დაემარხა[19]. ხოლო საღმრთოჲ მისი მოქალაქობაჲ და მდინარეთა უმდიდრესნი სწავლანი და ნიშნი და სასწაულნი დიდნი, მის მიერ აღსრულებულნი, შემდგომად სიკუდილისა მისისა მოწაფეთა მისთა აღწერნეს[20]. და აწ საფლავი მისი და დიდებულისა მამისა ბასილისი. რომელიცა შემდგომად 40
მისსა პარეხთა მკჳდრ იყო, ერთგან არიან და კაცთა კურნებასა მიჰმადლებენ. რომელნი სარწმუნოებით მივლენან მათდა[21].

---

[18] სერაპ. 168—170. [19] გრიგ. 38. [20] სერაპ. 151. [21] გრიგ. 38—39.